

სომეხი ღმერთების ბარდა

# ფრთხილი

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**რედაქცია:** სოლოლაკზე, სერგიევს ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლში, № 8.

**კანტორა რედაქციისა:** სერგიევს ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლში, № 8.

**ხელის-მოწერა** მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. ВЪ редакціи газ. „Дროбна“.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

**ფასი განცხადებისა:** კლასიკურებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით ცტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის სივრცითი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**რედაქციის უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბუღდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბუღებელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

## რედაქციის აზარი

თუმცა ყოველ ნომერში ვაცხადებთ, რომ ნახევარი წლის გაზეთის ფასი არის 4 მან. და 50 კაპ., მაგრამ ხელის-მომწერლები მაინც კიდევ უფრო ხშირად მარტო 4 მანეთს აგზავნიან.

ამის გამო უმორჩილესად ვთხოვთ იმ ნახევარის წლის ხელის-მომწერლებს, რომელთაც 4 მან. გამოუგზავნიან, დანარჩენი ათი შაურიც გამოგზავნონ (ფორტის მარკებით ან ვერცხლით); წინააღმდეგ შემთხვევაში იმათ მომავალი ივნისიდან მოვსაზრებთ გაზეთის გზავნა.

## მოგაგვალ 1878 წელს გაზეთი

### „დროება“

**გამოვა იმავე პროგრამითა და მიმართულებით, როგორც დღემდე გამოდიოდა ხოლმე.**

ამ უკანასკნელი ნახევარი წლის გამოცდილებამ დაგვარწმუნა ჩვენ, რომ ყოველ-ღლიური გაზეთი ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს და ამიტომ

**მოგაგვალ წელსაც „დროება“ მუდამ ღმერთი გამოვა.**

გარდა ორშაბათისა და ექვსების შემდეგ დღეებისა.

### ხელის-მოწერა

**თ ფ ი ლ ი ს შ ი**— მიიღება „დროების“ რედაქციაში (სერგიევს ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლში).

**ბარეშე მცხოვრებთა** ამ აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Типографіи. ВЪ Редакціи „Дробна“.

### ფასი გაზეთისა

მთელის წლისა . . . . .	8 მან.	„ კაპ.
ექვსის თვისა . . . . .	4 „	50 „
ოთხის თვისა . . . . .	3 „	„ „

მხოლოდ ამ ვადებით შეიძლება მომავალს წლიდან გაზეთის დაბარება. უმორჩილესი თხოვნა ხელის-მომწერებსა და აგენტებს: **ხვედრი უფლი გაზეთისა იმის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნას გამოგზავნილი;** თუ არ თავის აგენტების საშუალებით, ისე რედაქცია უფულოთ გაზეთს არავეს არ გაუგზავნის.

## ტელეგრაფები

### ბრძოლის ველიდან

**ლორა,** 28 დეკემბერს. (ოფიციალური). დღეს, 28 დეკემბერს, სწორეთ ერთის თვის შემდეგ, რაც ჩვენ პლენო ავიღეთ, ჩვენმა ჯარებმა ჩინებულად გაიმარჯვეს მტერზედა: დენერალმა რადიკიმ, გაცხარებული ბრძოლის შემდეგ, დაატყვევა მთელი შიპკოს არმია ოსმალისი. ტყვედ აყვანილია სულ: 41 ბატალიონი, 10 ბატარეა და ერთი პოლკი ცხენოსანი ჯარი; ყველა ამ ჯარების უფროსად იყო შერიკი რესელ-ფაშა.

**ჰარსი,** 29 დეკემბერს. (ოფიციალური). საღანლულის ატრიალის ერთმა კალონამ ახლო სოფ. ილიჯა. 24 დეკემბერს მტერმა გამოგზავნა არზრუმისად ჩიფთლიყის დასათვალისწინებლად 8 ბატალი-

ონი ქვევითა ჯარი და 600 ცხენოსანი; მაგრამ ჩვენის მხრით დახვდა ამით სოფ. მიურკთან 6 ბატალიონი ჯარი და მტერმა იმწამსვე უკან დაიწია ცოტა სროლის შემდეგ; ამ დროს ჩვენ ორი სალდათი დაგვიჭრეს.

(ოფიციალური)

**ბოგოტი,** 25 დეკემბერს. ბალკანის მთებზე გადასვლის დროს ჩვენის მხრით 200 კაცამდინ დაიხოცა. თამბაკ-სენში და არაბ-შონალში დაგვხვდა ჩვენ ბევრი ავითმყოფები და დაჭრილები ოსმალის ჯარიდან, სხვათა შორის ერთი ინგლისელი აფიცერიც.

მემკვიდრის ატრიალს რამდენიმე შეტაკება ჰქონდა მტერთან 20 დეკემბერს მაგოვასთან და ძოსტანციასთან.

**ბოგოტი,** 26 დეკემბერს. აი დაწერილებული ამბები ბალკანზე გადასვლის შესახებ: 13 დეკემბერს დაიძრა ორბა-

ნიდამ ჩვენი ჯარი ჩურეიკისაკენ და შრაჩეშიდამ შეტურლიაკისაკენ. წინ მიდიოდნენ საპიორები, რომელნიც აკეთებდნენ გზას და სდებდნენ ხიდებს; ამათ უკან მიჰყვებოდა ქვევითა ჯარი, რომელსაც მხრებით მიჰქონდათ ზარბაზნები და გადაჰქონდათ ტყვია-წამალი. ორი დღე მოუწინა ბალკანის ქედზე ასვლას. მეორე მხარეზე გადასვლა კიდევ უფრო ძნელი იყო: ამ დროს დედა-შიწა ისეთ ნაირად გაყინა, რომ ფეხის დაღმა უძნელდებოდა კაცს და საპიორები კბეებსავით სთხრიდნენ მიწას; ცარიელ ყუთებს აგორებდნენ მთიდან და ყუმბარები და ტყვია-წამალი კი სალდათებს ხელით გადაჰქონდათ.

ამნაირად ღენ. ბურკოს კორპუსის მოწინავე ჯარი ექვს დღეს მოუწინა ბალკანის მთებზე გზის გაკვლევას და გადაღლის განმავლობაში გადანიარეს. 19 დეკემბერს მიაღწენ ტამბახენს და აიღეს.

**ბოგოტი,** 26 დეკემბერს. 22 დეკემბერს ჩვენი ჯარი მუშაიკითა, სიმღერით და გაშლილი ბაირალებით შევიდასოფიაში. იმ წამსვე ღენ. ბურკომ გადაიხადა პარაკლისი ადგილობრივს ეკლესიაში.

ღენ. ბურკომ წინათვე (21 დეკ.) დათვალისწინა სოფია და დარწმუნდა, რომ ეს ქალაქი მხოლოდ აღმოსავლეთის მხრით იყო გამაგრებული და შიგ ქალაქში კი ცოტა-ლა ჯარები დარჩენილიყო მტრისა. ამის გამო მეორე დღესვე 12 ბატალიონი ჯარი მიაყენა ქალაქს ჩრდილოეთიდან და დაუბრკოლებლივ აიღო; იქ დარჩენილი ოსმალის ჯარები იმწამსვე გავიდნენ ქალაქიდან.

21 დეკემბერს ჩვენებს შირკოვოს მახლობლად ჰქონდათ მტერთან შეტაკება; ამ დროს, საუბედუროდ, ჩვენ მოგვიკლეს დენერალი ძატალევი და დაგვიჭრეს ღენ. ფილოსოფოვი და რამდენიმე აფიცერი.

**ჰარსი,** 27 დეკემბერს („ძავეკანის“ დეპეშა). დღეს დილით ღენ-აღიუტ. ლორის-მელიქოვი და კორპუსის შტაბის უფროსი წავიდნენ აქედამ სოღანლულის ატრიალში არზრუმისაკენ.

**ლონდონი,** 26 დეკემბერს. „Daily News“-ს ანგობებენ ბუხარესტიდან, რომ ღენ. რადეცკის კორპუსი გადასულია შიპკოს ქედთან ბალკანზე, დასაიდაც ოსმალის ჯარს საშინელი სიციფების გამო, უკან დაუწევია.

**მენა,** 27 დეკემბერს. ინგლისსა და რუ-

სეთს შუა მეგობრული განწყობილება ჰსუფევს. პოლიტიკურ საქმეების მცოდნე პირები ამბობენ, რომ ინგლისი ამ მორიგებაზე მოლაპარაკებაში არ გაეჩვევა და მხოლოდ იმას ეცდება, რომ თავის საკუთარი ინტერესები დაიცვას.

**31 მაისი, 27 დეკემბერი.** სტამბოლიდან მოვიდა ამბავი, რომ ოსმალეთის მთავრობამ გადაწყვიტა რუსის მთავარ ძვარტირაში გაგზავნოს მორიგების თაობაზე მოსალაპარაკებლად რეუფ, მაჰმედ, რუსი და სერვერ-ფაშები.

რეუფ-ფაშა ხელო აღრიანობოლში მიდის. ის ყველა აქ მყოფ ოსმალს ჯარის უფროსად არის დანიშნული.

**ლონდონი, 20 დეკემბერი.** პლიმუტის ნავსადგურში გაჩერებულს ინგლისის ფლოტს ბრძანება მოუვიდა, რომ 15 იანვრისათვის დამზადებული იყოს ზღვაში გასასვლელად.

**პარიზი, 21 დეკემბერი.** აქ მოვიდა მიხედვით-ფაშა, რომელიც ამ დღეებში ლონდონში წასვლას ემზადება.

# ოპის აზრები

## აზიის ბრძოლის ველიდან

ჩვენი არტანელი კორრესპონდენტი დიდი თოვლი სძევს და საშინელი სიციფეები არის, და ამის გამო ჩვენი ატრიალი (დენ. ძომაროვის), რომელიც ბათუმისაკენ გალაშქრებას აპირებდა, ძალა-უნებურად შეჩერდა, რადგან გზა შეკრულიაო. მაგრამ როგორც კი ცოტათი ათბება და თოვლი ღრობას დაიწყებს, იმ წამსვე ეს ატრიალი ბათუმისაკენ გასწევს.

ამ გვარსავე მიზეზს გვწერენ ჩვენ შობულეთის ატრიალის ხუც-შბანზე გაჩერებისას; იქაც დიდი თოვლი და სიციფეები აბრკოლებს ატრიალის წინ წასვლასა და ყოველგვარ სამხედრო მოქმედებას. არტანის ატრიალიდან მოკლიან თურმე იქ ამბის შეტყობინებას — თუ როდის უნდა გაიწიონ წინ ბათუმისაკენ, რადგან ეს ორი ატრიალი ერთად და ერთდროს უნდა მიიწიეს ამ ნავსადგურს ახალგაზრდათა.

ინგლისურს გაზეთს „Daily News“-ში იწერებოდა 13 დეკემბერს არზრუმში და:

„რუსის ცხენოსანმა ჯარმა თითქმის ყველა მხრით შეუტრია გზა არზრუმს. ამათი ქვევითა ჯარი კი ტრაპიზონის გზის შეკვრას აპირებს.“

„ბათუმშიდან მოვიდა ამბავი, რომ 11-ს დეკემბერს ხუც-შბანზე დაბანაკებულ რუსის ჯარებს დაუშენია ზარბაზნები ჩურუქ-სუს (შობულეთის) პოზიციებისათვის და აგრეთვე იმ ხომალდებისთვის, რომელნიც აქვე შავს ზღვაში არიან გაჩერებულნი. მაგრამ, როგორც იწერებოდა, ამ სროლას ვერც ჩურუქ-სუსა და ვერც ოსმალს ხომალდებისათვის ვერა დაუკლია-რა.“

ერთი ფრანკო-სული გაზეთი (La France) გვაცნობებს შემდეგ ამბავს, რომელიც იმას თავის სტამბოლელ კორრესპონდენტისაგან მისვლია დეკემბრის 12-ს:

„აქ დაბეჯითებით ამბობენ, რომ მუხთარ-ფაშის მოადგილეთ მცირე პუნის არმიის უფროსად შურთი იზმაილ-ჰაკი-ფაშა დანიშნებოა.“

„ამის მიზეზს შემდეგ გარემოებას ამბობენ: ოთხი თავი-კაცი მისულა სტამბოლში შურთებისა; ამათ გამოუცხადებია, რომ, თუ ჩვენ ისევ ჩვენ ძველ თავ-კაცს (შმარს) მოგვცემთ მეფეთ და ჩვენგანს ვისმე დანიშნავთ ჯარის უფროსად, შეგვიძლია 100,000-მდინ კარგი მეომარი გამოვიყვანოთ ბრძოლის ველზე და ამნაირად ისევ წავართვათ რუსებს ის ადგილები სომხეთში, რომელნიც დღეს იმათ დაპყრობილი აქვთო.“

„ამბობენ, ამ წინადადებაზე დათანხმდა სულთანი და ამის გამო მუხთარ-ფაშას უპირებს გამოცვლასო.“

ნემცურს გაზეთს „Tagblatt“-ში ბრძოლის ველზე იწერებოდა:

„ოსმალოები საჩქაროდ ამადგრებენ არზრუმის გარეშე მოთავსებულ სიმაგრეებს: ჰავა-ტაბიეს, მოფ-ღოსა და აზი-ზიეს, რადგან მალე რუსებისაგან იერიშით მისვლას მოელოიან. ამბობენ, რომ რუსებს ციხის ასაღები ზარბაზნები არ მისვლიათ და ამიტომ ზარბაზნებს ვერ დაუშენენ არზრუმს, პირ-და-პირ იერიშით მივლენო. რუსის ცხენოსანი ჯარი ოსთისთან დაუნახავთ.“

„საშინელი სიციფრეა ყოველ-გვარი ხორაგისა და განსაკუთრებით შეშისა ამ ქაშად არზრუმში.“

**პეროპის ბრძოლის ველიდან**

ღღევანდელს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილის ტელეგრაფებიდან შეიტყობთ, რომ რუსის (დენ. ბურკოს) ჯარმა დაიჭირა ქალაქი სოფია და ლენ. რადეცკის კორპუსი შიპკოსთან გადავიდა ბალკანის მთებზე.

ამ უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში ბალკანის მთებზე გადასვლა და სოფიის დაჭერა არის ყველაზე უფრო შესანიშნავი ამბავი პეროპის ბრძოლის ველზე.

როგორც უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებოდნენ, სოფია აღრევე მიტოვებული ჰქონდათ ოსმალს ჯარებს; ამბობენ, რომ ეს ქალაქი უნდა დაეწვათ და ისე უნდა მიეტოვებინათო.

„გაზეთს „Голос“-ში იწერებოდა ბუხარესტიდან 9 დეკემბერს:

„რუსის (მემკვიდრის) არმიის პირველი მიზანი ამ ქაშად ეს არის, რომ გარს შემოერთებს რუსეთს და ეს ციხე-ქალაქი აიღოს. მაგრამ, როგორც ამბობენ, ლენ. ტოტლებენს უთქვამს, რომ სრულდებით გარს-შემოტყმა და იქ მყოფი გარნიზონისა და ხალხის დამწყვდევა შეუძლებელი საქმე არისო; დასავლეთის მხრით ჩვენი ჯარები რუსეთს ვერ მიაღწევა და გზას ვერ შეუტრავსო.“

„ტელის ბაზეთში“ მოყვანილია შემდეგი დეპეშა 11 დეკემბერს ბერლინიდან მიღებული:

„რუსიუკისა და სილისტრიას გარს-შემოტყმა ერთს დროს უნდათ რუსებსა. სილისტრიის ასაღებათ დანიშნულია ლენ. ტომერმანის კორპუსი, რომელსაც კიდევ ახალ ჯარებს უგზავნიან.“

„ჰავასის სააგენტო“ გვაცნობებს, რომ შირიმის ქალაქებიდან შოთამდინ თავისუფლად დაიარებიან რუსის ხომალდები, რომელთაც მარილი და სხვა საქონელი დააქვთო (?).

ლონდონის გაზეთი „Times“ ამბობს ნამდვილად შევიტყუეთო, რომ ინგლისის სამხედრო სამინისტროს ზღვის სამინისტროსათვის უკნობებია, რომ რაც შესაქმებელი სამხედრო ხომალდებია, უეჭველად 16 იანვარს ყველა დამზადებული უნდა იყოსო. ამ გარემოებას უცხო ქვეყნის გაზეთები დიდ მნიშვნელობას აძლევენ...“

„რუსის (მემკვიდრის) არმიის პირველი მიზანი ამ ქაშად ეს არის, რომ გარს შემოერთებს რუსეთს და ეს ციხე-ქალაქი აიღოს. მაგრამ, როგორც ამბობენ, ლენ. ტოტლებენს უთქვამს, რომ სრულდებით გარს-შემოტყმა და იქ მყოფი გარნიზონისა და ხალხის დამწყვდევა შეუძლებელი საქმე არისო; დასავლეთის მხრით ჩვენი ჯარები რუსეთს ვერ მიაღწევა და გზას ვერ შეუტრავსო.“

„ტელის ბაზეთში“ მოყვანილია შემდეგი დეპეშა 11 დეკემბერს ბერლინიდან მიღებული:

„რუსიუკისა და სილისტრიას გარს-შემოტყმა ერთს დროს უნდათ რუსებსა. სილისტრიის ასაღებათ დანიშნულია ლენ. ტომერმანის კორპუსი, რომელსაც კიდევ ახალ ჯარებს უგზავნიან.“

„ჰავასის სააგენტო“ გვაცნობებს, რომ შირიმის ქალაქებიდან შოთამდინ თავისუფლად დაიარებიან რუსის ხომალდები, რომელთაც მარილი და სხვა საქონელი დააქვთო (?).

ლონდონის გაზეთი „Times“ ამბობს ნამდვილად შევიტყუეთო, რომ ინგლისის სამხედრო სამინისტროს ზღვის სამინისტროსათვის უკნობებია, რომ რაც შესაქმებელი სამხედრო ხომალდებია, უეჭველად 16 იანვარს ყველა დამზადებული უნდა იყოსო. ამ გარემოებას უცხო ქვეყნის გაზეთები დიდ მნიშვნელობას აძლევენ...“

**მორიგების თაობაზე**

უკანასკნელი ახალი და თან ყველაზე უფრო ყურადღების ღირსი ამბავი მებრძოლთა მორიგების თაობაზე არის ის ამბავი, რომელიც გუშინ მოვიდა ქალაქში ვენიდან: ვითომც ოსმალეთის მთავრობამ გადაწყვიტა, რომ რუსის მთავარ ძვარტირაში გაგზავნოს თავის დანდობილი პირები: რეუფ, მაჰმედ, რუსი და სერვერ-ფაშა დროებით მორიგების შესახებ მოსალაპარაკებლად.

ჯერ დროებით მორიგება იქნება და მეტე, ამ ხნის განმავლობაში, საბოლოოთ მშვიდობიანობას ჩამოგდებაზე იქნება სჯა.

— ვენიდანვე მოსული დეპეშა გვაცნობებს, რომ სულთანი ამ პირობით აპირებს მიდინიდან და ნიშიდან თავის ჯარების გამოყვანას და დროებით მორიგებაზე მოლაპარაკების დაწყებას, თუ რუსებიც თავის მხრით რუსიუკის და არზრუმის არე-მარცხად უკან წაიყვანენ თავიანთ ჯარებსაო.

— ინგლისის სამინისტროს ოფიციალური ორგანო გაზეთი „Standard“ ამბობს, რომ, როგორც ეტყობა, რუსეთი უკან მ დაუბრუნდებიან რუსეთსა და იქი...

არ დათანხმდებოა, რომ ინგლისმა მეტ-  
ზოდლოდ შორის მუშაველობა იკისრო-  
სა; რუსეთის იმპერატორი იმ ჰაზრისა  
არისო, რომ პირ-და-პირ მსმალეთთან  
მოილაპარაკოს ამ საგანზედაო.

ითუ ეს ასე მოხდაო, ამბობს ზემო-  
ხსენებული გაზეთი, მაშინ ინგლისი რა-  
საკვირველია, არ გაერევა ამ მოლაპა-  
რაკებაში; მაგრამ ეტყება კი, რომ ამ  
ორ სახელმწიფოს შუა მორიგების პი-  
რობებში არცერთი ისეთი მუხლი არ  
იყოს ჩართული, რომელიც ინგლისის  
ინტერესისათვის რომელიმე მხრით დაზა-  
ზიანებელი შეიქნეს.

# საქართველო

## დღისი

\* \* იგივე სიტყვები, სიძვირე ქურ-  
დობა და ჯიბიგრობა სუფევენ ჩვენს  
ქალაქში; სუფევენ, მაგრამ ჩვენ კი არ  
ვიციტო—როდის მოისპობა ეს ამათი მე-  
ფობა და როდის მიეცემა საღვათი  
ჩვენ ღარიბ ხალხს...

საქმე იქამდინ მივიდა, რომ დღისით  
ქურდობენ და მცარცველობენ ამ ქაშად  
ჩვენს ქალაქში: ჩვენ გვითხრეს, სხვათა  
შორის, რომ ამ თვის 27-ს გალაგინის  
პროსპექტზე, „ამერიკის“ სასტუმროს  
წინ მიმდებარე ერთს ქალს, შუადღეზე,  
მივარდა თურმე ერთი ვიღაც ჯიბის  
ოსტატი, ხელად ამოაცალა ჯიბიდან  
პორტმონე და სანამ ის ქალი უკან მო-  
იხედავდა დადაიყვირებდა, ქურდის კვალიც  
კი გაჰქარა...

\* \* ბაქოს გაზეთში იწერებიან, რომ  
ამ თვის 10-ს ამ ქალაქში დიდი ჩხუბი  
მოამდარა თათრებს შუა, რომელნიც  
ერთს ქორწილზე ყოფილან დაპატიჟე-  
ბულნი. მაჩხუბრები, რამდენიმე ასი  
კაცი, ქუჩაზე გამოცვიფნულან; პოლიცია  
გარეულა ამათში, მოუნდომებია ჩხუბის  
დამშვიდება, მაგრამ ვერა ვაურობებიარა.  
ბოლოს აქაურ ლუბერატორს სალდა-  
თები მოუხმია; თათრებს ერთმანეთის  
ჩხუბისაგან ხელი აუღიათ და ყველანი  
სალდათებს დასვეიან ჯიბებიტა და ქვით.  
ბოლოს, რომ ვერა ვაუწყებიათრა, მთავ-  
რობის ბრძანებით სალდათებს თათრები  
უსვრიათ ამ მაჩხუბარ ხალხისათვის და  
ამნაირად დაუმშვიდებიათ.

ამ ჩხუბის დროს, როგორც ზემოხსენ-  
ებული გაზეთი ამბობს, მ სალდათი  
არის დაჭრილი და 6 თათარიო.

## „დროების“ კორექსიონი

მიზიუი, 26 დეკემბერს. ათი წელი იქ-  
ნება მას აქეთ, რაც სოფელ შრიათ-  
უბანში მამასახლისმა აღუქრძალა მოქა-  
ლაქე სომხებს იმ სიფელში თავიანთ

ვენახებში მისვლა-მოსვლა. მამასახლის-  
მა ნახა, რომ მომეტებული და უკეთე-  
სი ვენახები მოქალაქეებს უჭირამთ და  
ხარჯს მომეტებულ შრიათ-უბნელი გლე-  
ხები იღებენ, შეაწერინა ხარჯი იმ მო-  
ქალაქეებს, რომლებსაც შრიათ-უბანში  
დიდი ზვრები და ვენახები ეჭირათ. რა-  
საკვირველია, მოქალაქე სომხებმა ძრიელ  
იწყინეს—როგორგაბედეთ ხარჯის შემო-  
წერაო. ამათ ხარჯის მიცემაზე უარი  
განაცხადეს;—მამასახლისმა კიდე ვენა-  
ხების კარები აუღობა და შიგ აღარ  
უშვებდა. ბაიბა საჩივარი თელავის მა-  
ზრის უფროსთან—ზრენთან—კეთილი  
იყოს სახსენებელი იმისი. —ზრენმა სხვა-  
გან გაგზავნა, უმეტეს მაღალ ალაგას  
ისე, რომ საჩივარმა მიახწივა უმთავრეს  
სამმართველომდი, სადაც შრიათ-უბნე-  
ლი მამასახლისის მოქმედება კანონიე-  
რათ დაინახეს და გაამწესეს ხარჯი შრი-  
ათ-უბანში მამულების მქონებელ მოქა-  
ლაქეებზე.

მიზიუის მამულების მდგომარეობა თუ  
არ გადაამეტებს, არ ჩამოუვარდება შ-  
რიათ-უბნელებისას. სადაც კარგი სახნა-  
ვია, სავენახეა, საძოვარია—სულ სიღნა-  
ღურ ვალაღებულ სომხებს უჭირავთ.  
მე ვამბობ სომხებს, ამით ვგულის-  
ხმობ ხალხისნობას კი არა, ამით არ ვამ-  
ტვიცებ, რომ უსამართლობა, უსოდი-  
ნარი ხალხის ღლეტვა, უსენილისობა,  
უწყობა მარტო სომხებს გამოადის ხე-  
ლიდგან.

მიზიუიში ბევრი და უფრო მომეტებუ-  
ლი სომხებისა სინილისიანი, წესიერნი, სი-  
მართლის მიძყოლი არის. ის ზოგიერთა  
პირები—მსუფები, მელქოები, მსატუ-  
რები სომხებსაც ისე ყვლეფენ, იმათაც  
ისე აღუღებენ სარგებლობის ცეცხლზე,  
როგორც გლეხებს. ამისთანა სომხობამ  
დაიპყრო ხელში ყველაგვარი უსამართ-  
ლობით, ზაკვარობით თითქმის ნახევარ-  
ი უფზდის მამულები ასე, რომ გლე-  
ხებს სცილვაც რომ უნდოდეს, ვეღარ  
მოუხერხებია: სომხები ჯერ არ გაჰყიდის  
და თუ კიდევ როგორმე ეშმაკი გაუწყ-  
რა და გაიმეტა, იმასაც მაშინ, როდესაც  
ძვირათ მისცემს. ჩვენ გლეხებს ძვირათ  
კი არა, სათაფნე ფულიც უნდა ნისიო-  
ბით გამოვიდეს.

რადგან ასეა, სომხის ხელიდგან მა-  
მული აღარ გამოვა, მასთან ამას იქით  
უფრო შეიმატებს, ურიგო არ იქნებო-  
და შრიათ-უბნელ მამასახლისის მსგავ-  
სად ჩვენ მამასახლისებსაც შევეწერნათ  
ხარჯი იმ სომხებისათვის, რომლებსაც  
მამულები, ვენახები აქეთ მიზიუის სასო-  
ფლოებში. რომ ამაზე ყურადღებას მი-  
აქცევს ჩვენი პატივცემული და ღირსე-

ული მაზრის უფროსი უ. ტიზენგაუშენ-  
ნი—ამაში ეჭვი არ არის. რაც ეს მო-  
ვიდა, ჩვენმა მიზიუმა ცოტათი არის მო-  
ისვენა: ჩაფრები წინანდებულათ შათრა-  
ხის ქნევას ვეღარ ჰბედავენ, მამასახლი-  
სები და სუდიები ცხდათ ქრთამს ვე-  
ღარ იღებენ, რადგან უ. ტიზენგაუშენი  
და მისი თანაშემწე უ. თელაშვილი ინ-  
დოურებს არ მიირთმევენ, ცხენისა და  
კამეჩის ჯოგებს არ აშენებენ და ფარას  
თრიალეთს არ ისტუმრებენ. მისურვებთ  
დიდხნობით მაგათ ჩვენ მაზრამი დაყოფ-  
ნებას და ცხოვრებას: უეჭველათ უფზდს  
ეშველება რითმე, თუმცა ძრიელ შეწუ-  
ხებული და დაცემული ნახეს პირველ  
მოსვლაშივე.

ღიახ, მიზიუი უფრო ადმინისტრაციამ  
დასცა. შ. პრიჭანოვსკიმ იცოდა, მიზიუ-  
ში შიმშილი რამა ქნაო, ხაზინაში ხარ-  
ჯი სრულიად შემოდისო. საცოდავი ად-  
მინისტრატორი იყო, მიზიუი კი იმასება-  
რა და არ იცოდა, რომ ჩაფრებს ქვიდ-  
განაც შეეძლოთ იმის დროს ფულის  
ამოთხრა...

ითუ ჩვენ მზარესადმინისტრაცია გამო-  
ადგება, მას ერთგულათ და გულ-შემა-  
ტკივრათ მოექცევა, ძრიელ მტლე აი-  
წევს. იმედიც არის ეს ჩემი წინასწარ-  
მეტყველობა აღსრულოდეს.

მარტო დაგვისნას ღმერთმა ეხლან-  
დელ გამომძიებელისაგან: ეს დალოცვი-  
ლი ამირხანოვებს ხელს აფარებს, ვი-  
თომც უნახამს რასმე!...

მაგრამ თუ ჩვენმა ხალხმა კანონები  
შეისწავლა, მეტი აღარა უჭირს-რა. მი-  
საც კი შეუძლიან, უნდა ყოვლის ღო-  
ნის-ძიებით ეცადოს გააერცელოს და  
ხალხი მიაჩიოს კანონების ცოდნასა და  
კითხვას. შ. მამრეკელის ნათარგმნი „წეს-  
ლება“ თან-და-თან ერცელდება ჩვენში.

შეიკრი არ არის, რომ ძნელი ენით  
არის დაწერილი, მიჩვევიან. მიზიუი ძრი-  
ელ მაღლობელია მამრეკელისა და ძრი-  
ელაც იყიდება: იფიქრეთ, ქალებიც კი  
კითხულობენ!...

## შერილი რედაქტორთან

შუ. რედაქტორო! ბედკრული სვე და  
მწარე მდგომარეობა იმ რაოდენიმე  
ათასი სომხებისა, რომელთაც ღენერალ  
ტერ-ლუკასოვის მფარველობის ქვეშ  
თავი გადაირჩინეს სათათრეთიდან რუ-  
სეთის სამეფოში, ვადმოსახლებით, არ  
დარჩა თანაუგრძობელათ შუთასში  
მოსახლე სომხების მხრივაც. შევიტყუეთ  
თუ არა იმ საცოდავების ვაჭირება და  
მწუხარება, მაშინათვე შევადგინეთ კო-  
მიტეტი შემდეგ პირთაგან: პორუჩიცი  
ნინო ხეროდინოვისა, ქერივი ძეკელა

# განცხადებანი

რასპორიადიტელნი კომიტეტი საზოგადოებისა, რომელსაც საგნად აქვს თბილისის საქალო გამანაზიისა და პროვინაზიის ღარიბ მოსწავლე მზრუნველობა, უმოჩილესად სთხოვს ამ საზოგადოების წევრთა, რომ ღროით შემოიტანონ მომავლის 1878 წლის ხვედრი ფული, როგორათაც ამას საზოგადოების უსტავის მეოთხე პარაგრაფი მოითხოვს. შული უნდა ჩაჰბარდეს საზოგადოების კაზნაჩის, მახტანგ ღიმიტრის ძეს თულაშვილს, თბილისის ცენტრალურ სულში, დილის 10-სა საკრებლამ წინასწარ ღვეის 2-ს სათამდე.

(3-2)

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა

„სოლი ვიტირო თუ უული?“

მთხ-მოქმედებანი კომედია

უფ. ალ. ა. თუთაშვილი

შიფინოვისა, მლისაბედ მქრომჭედლოვისა, ღესპინე პეტრე ხოჯაევის ასული და ორნი ასულნი ჩემნი—ანა და მლისაბედ, რომელთ ვითარ კომიტეტს მივეცი ორი დავთარი მოსაგროვებლად ნებიერის შესაწირავისა სასარგებლოდ ზემოხსენებულ სამხეობისა.

კომიტეტის წევრებმა დიდის გულსმოდგინებით აღასრულეს თავიანთი დანიშნულება და წარსულის ნომბრის თვეში წარმოამდგინეს შეგროვებული ფულებიც, პირველის დავთრით ასორმოცდაორი მანეთი და ათიკაპ., ხოლო მეორეთი ასორმოცდაცამეტი მან. და ოთხმოცდასამიკაპ. ბარდა ამისა მლისაბედ მქრომჭედლოვისამწარმოამდგინა ასორმოცდორი, რომელიც მას თავის ტოლ-ამხანაგების დახმარებით მოეგროვებინა, ერთ და იმავე საგნისათვის ლოტოს თამაშისაგან.

შველა ეს ფული, რომელიც შესდგასულ ერთიანათ სამასსამოცდაოთხუთმეტი მან. და ოთხმოცდაცამეტი კაპ.; ფოჩით წარვაღვინე. თფილისის სამხეთ ეპარხიალისკონსისტორიაში № 173 და 174.

ამისათვის წარმოგიგზავნით რამასთანავე შემომწირველების სიას, გთხოვთ უმოჩილესად, უფ. რედაქტორო, ინებოთ დაბეჭდვა მისი თქვენს პატრიცემულ გაზეთში საყოველთაო საცნობელოდ. ამასთანავე ერთად წმინდა ვალად ვერაც ჩემდა განუხსნადო გულითადი მადლობა როგორც კომიტეტის წევრებს, ეგრეთვე ყველა შემომწირველებს.

ღკანოზი ტერ-ღავით იარალოვი

(შემწირველების სია შემდეგ ნომერში)

## ივერია

გამოვა 1878 წელს იმავე სახით, იმავე პროგრამით და ისევე კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

შასი ერთის წლისა, გაგზავნით თუ გაუგზავნელად, შვიდი მანეთია. ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, „ივერიის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება მთაწმინდის ქუჩაზე, შიოცეის სახლების ზემოდ, მანანოვის სახლში, სახლი № 5.

მუთაისში ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. თბილისის გარედ მცხოვრებთა შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი „ივერია“ ამ აღრესით: *Въ Тифлисе, въ редакцію издети ИВЕРІА.*

ხელის-მოწერა 1878 წლისა.

## „თფილისის მოამბე“

წელიწადი მეექვსე

1878 წელს „თფილისის მოამბე“ გამოვა მულამ დღე გარდა უქმი დღეების შემდეგ დღეებისა.

ხელ-მოწერის ფასი

გაუგზავნ. გაგზავნით რუსეთში თფილისში

ერთი წლით	—	—	—	10 მან.	11 მან.	12 მან.
6 თვით	—	—	—	5 „ 50 კაპ.	6 „	6 „
3 „	—	—	—	3 „	3 „ 50 კაპ.	4 „
1 „	—	—	—	1 „	1 „ 25 „	1 „ 50 კაპ.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციის კანტორაში, მრეწვის მოედანზე, № 3, შრთი-ერთ კრედიტის ბანკის გვერდით.

მალაქის ბარეშუ ხელის-მოწერნი ამ აღრესით მოიწერებინან: *Въ Тифлисе, въ редакцію „Тифлискаго Вѣстника.“*

ხელის-მოწერა მიიღება ყოველი თვის 1 რიცხვიდამ მხროლოთ წლის დამლევამდინ.

მალაქის ხელის-მოწერლებმა ამას გარდა შაურიანი მარკის ფული უნდა შემოიტანონ. (3-2)

რკ. გზა.	დილა.	სალამ.	II კ.	III კ.	ტელერაში	მ. კაპ	ბირჟა	მან. კაპ	გაზანდა	მან. კაპ
თფილისი	9 21	5 18			მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		პეტრებურგი, 25 დეკემბ.		თფილისი, 29 ქრისტეშ.	
მცხეთა	10 11	6 27	68	38	მუთაისს, შოთს	1	მართი მანეთი ღირს:		შქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	2 20
ბორი	11 58	9 43	2 40	1 23	მორს, ღუშეთს, სიონას	50	ლონდონში 23 პენსი.	78	შქვილი წითელი	1 80
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდესას, მოსკოვს	2	პარიჟში 248 სანტიმი.	62	შერი ფუთი	1 40
სურამი	1 44		4 42	2 46	პეტრებურგს, პარშავს	2	მსკონტი (სარგებლობისფასი)	71	ბამბა მრეწვისა, ფუთი	9 50
შვირილა	5 49		5 81	3 23	მსმალეფში, შვეიცარიაში	3	ბანკის ბილეთი 5%	95	— ამერიკისა, ფუთი	10
რიონი	6 47		6 75	3 75	იტალიაში და საფრანგეთში	3 50	მოგებინი (პირველისა ხ.)	227	ბაჟენტლი ბამბა ფუთი.	12
სამტრედია	7 41		7 73	4 29	ინგლისში	3 75	მოგებინა (მეორე ხესნი)	220	მატყელი თუ შური ფთ.	7 70
ახ.-სენაკი	—		8 57	4 76	ფოჯობა		ბირაოს ფურცლები:		— თარაქაშისა ფთ.	4 60
შოთი	9 40		9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამხლვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე		თფილ. საზნ. ბანკისა.		პბრეშუმი ნუბური სტ.	2
შოთი	9 13				კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.		ხერსონის ბანკის (5%)	85	მონი, ფუთი	5 90
ახ.-სენაკი	—		1 18	66	სამშ. და შაბ. ბ) მუთაისიდან:		მოსკოვის (5%)	85	მონის სანთელი ფუთი.	7 80
სამტრედია	11 16		2 61	14	თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ		აკციები:		სტარინის სანთელი, ფ.	14 40
რიონი	12 13		3 41	69	დღე, კვირას გარდა. მსურვთს—		მდესის საეპრო ბანკის	177	ხორცი ძროხისა, ლიტ.	72
შვირილა	1 18	ლაშე	3 98	2 21	ორშ. და პარასკ.		შოთი-თფილ. რკინ. გზის		— ცხვრისა, ლიტრაჟ	72
სურამი	5 12	1 10	5 33	2 96	წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ.	შავი ზღვის ცეცხ. გემების	527	საირტი, გრადუსი	15
ხაშური	5 39	1 37	5 84	3 24	და სამხლვარ გარეთ:		ქავკაზის და მერკურის	225	შაქარი, ბროც. ფუთი	9 20
ბორი	7 5	4 87	3 64	9	ლა წიგნის	4	პირვ. საზღვევ. საზნ.	745	— ფხვნილი ფუთი	8 40
მცხეთა	8 50	6 59	9 85	4	დაბეჭდილის (სამი მისხლი)	8	პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	შავი გრვალის, ფუთი	28
თფილისი	9 31	7 56	9 75	5 42			მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	14 50
									მქრო 1/2 იმპერიალი.	8 20